სს ,,ვითიბი ბანკ ჯორჯიას''

აქციონერთა წლიური საერთო კრების ოქმი №01/ 2010

ქ. თბილისი. დ.უზნაძის ქ. № 37

2010 წ. 2 ივნისი 15:00

ორი ათას ათი წლის 2 ივნისს მე, ნარგიზ მინდიაშვილი ნოტარიუსი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. #29, დავესწარი სს ,,ვითიბი ბანკ ჯორჯიას'' აქციონერთა წლიურ საერთო კრებას, რომელიც ჩატარდა მისამართზე ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ. № 37.

მე შევადგინე წინამდებარე ოქმი კრების მიმდინარეობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. ოქმი შედგენილია ექვს თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად.

ფასიან ქაღალდთა დამოუკიდებელი რეგისტრატორის სს ,,კავკაზრეესტრის'' ინფორმაციის შესაბამისად, სს ,,ვითიბი ბანკ ჯორჯიას'' აქციონერთა წლიურ საერთო კრებას (შემდგომ – ,,ბანკი'') ესწრებოდნენ ხმის უფლების მქონე აქციათა მფლობელი აქციონერები და აქციონერთა წარმომადგენლები (99075717აქცია), რაც სააღნიცხვო დღის მდგომარეობით, ანუ 2010 წლის 3 მაისისთვის ხმათა საერთო რაოდენობის 94,74% შეადგენს. ,,მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონის 54–ე მუხლის მე–5 პუნქტის თანახმად ბანკის აქციონერთა წლიური საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება იმდენად, რამდენადაც მას კაპიტალში 94,74% შესაბამისი აქციების მფლობელი აქციონერები ესწრებოდნენ. ბანკის აქციონერთა წლიური საერთო კრების ჩატარების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა საქართველოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში– ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე'' №43. 2010 წ. 13 მაისი.

სს ,,ვითიბი ბანკ ჯორჯიას'' აქციონერთა წლიური საერთო კრებას თავმჯდომარეობდა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ელენა ივანეს ას. ნაროჟნაია.

ბანკის წესდების 5.8 პუნქტის შესაბამისად, დამსწრე აქციონერების ხმათა უმრავლესობით ბანკის აქციონერთა წლიური საერთო კრების მდივნად არჩეულ იქნა ნინო დავითის ას. კანდელაკი.

ბანკის აქციონერთა წლიური საერთო კრების თავმჯდომარე ე. ნაროჟნაიამ წარადგინა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამტკიცებული (30.04.2010წ. №05/2010 ოქმი, ბანკის

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების 1.1.პუნქტი) ბანკის აქციონერთა წლიური საერთო კრების დღის წესრიგი:

1. სს,,ვითიბი ბანკ ჯორჯიას'' დირექტორატის მიერ 2009 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის დამტკიცების თაობაზე.

/ მომხსენებელი– სს ,,ვითიბი ბანკ ჯორჯიას'' გენერალური დირექტორი ა.კონცელიძე/

2. სს,,ვითიბი ბანკ ჯორჯიას'' 2009 წლის წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და სს ,,ვითიბი ბანკ ჯორჯიას'' გარე აუდიტორის Ernst& Young Audit LLC 2009 წლის ანგარიშის განხილვის შესახებ.

/ მომხსენებელი– სს ,,ვითიბი ბანკ ჯორჯიას მთავარი ბუღალტერი მ.ჯიჯავაძე/

3. სს,,ვითიბი ბანკ ჯორჯიას'' მიერ 2009 წელს მიღებული მოგების განაწილებისა და დივიდენდების გადახდის შესახებ.

/ მომხსენებელი– სს,,ვითიბი ბანკ ჯორჯიას მთავარი ბუღალტერი მ.ჯიჯავაძე/

4. სს ,,ვითიბი ბანკ ჯორჯიას'' 2010 წლის წლიური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად გარე აუდიტორის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი– სს,,ვითიბი ბანკ ჯორჯიას მთავარი ბუღალტერი მ.ჯიჯავაძე/

5. სს ,,ვითიბი ბანკ ჯორჯიას'' კაპიტალის გაზრდის შესახებ.

/მომხსენებელი– სს,,ვითიბი ბანკ ჯორჯიას'' სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. ნაროჟნაია /

6. სს ,,ვითიბი ბანკ ჯორჯიას'' სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი – სს,,ვითიბი ბანკ ჯორჯიას'' სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. ნაროჟნაია /

7. სს ,,ვითიბი ბანკ ჯორჯიას'' წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი– სს,,ვითიბი ბანკ ჯორჯიას'' ვიცე–პრეზიდენტი ვ. მაჭავარიანი /

3. მოისმინეს: სს,,ვითიბი ბანკ ჯორჯიას მთავარი ბუღალტრის მ.ჯიჯავაძის ინფორმაცია სს ,,ვითიბი ბანკ ჯორჯიას'' მიერ 2009 წელს გაწეული საქმიანობის შედეგების მიხედვით მოგების არარსებობის და ბანკის წესდების 5.10 პუნქტის «j» ქვეპუნქტის შესაბამისად დივიდენდების გადახდის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 99075717 ხმა

წინააღმდეგი 0 ხმა

თავი შეიკავა 0 ხმა

მიღებული გადაწყვეტილება:

3.1. სს ,,ვითიბი ბანკ ჯორჯიას'' 2009 წლის წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და სს ,,ვითიბი ბანკ ჯორჯიას'' გარე აუდიტორის Ernst& Young Audit LLC 2009 წლის ანგარიშის (ოქმის №2 დანართი) გათვალისწინებით ცნობად იქნეს მიღებული სს ,,ვითიბი ბანკ ჯორჯიას'' 2009 წელს გაწეული საქმიანობის შედეგების მიხედვით მოგების არარსებობა და არ იქნეს გადახდილი დივიდენდები სს ,,ვითიბი ბანკ ჯორჯიას'' 2009 წელს გაწეული საქმიანობის შედეგების მიხედვით.